სახელმწიფოშესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №14

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 16 თებერვალი 2018წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შალვა დანელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „კორვეტი“(შემდგომში „მიმწოდებელი“)წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი აბულაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოსათვის პრინტერების ტექნიკური მომსახურების, კერძოდ პრინტერების კარტრიჯების დატენვა / შევსება / შეკეთებისმომსახურების მოწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 -ის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების რაოდენობა და აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (განფასება) დანართი N2, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.2. კლასიფიკატორის კოდი: 50323000 - კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 840(რვაას ორმოცი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, (სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი კვების უზრუნველყოფის პროგრამა) მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

4.2. გაწეული მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3. შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1.მომსახურების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი .ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№90ა.

5.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხისთ და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად;
ბ)მომსახურების გაწევის ვადაში განახორციელოს სრულყოფილი სერვისი, კერძოდ შემსყიდველის მისამართიდან თავად წაიღოს კარტიჯი, მომსახურების გაწევისთანავე დააბრუნოს უკან და შეამოწმოს ადგილზევე კარტრიჯის გამართული მუშაობა.
გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი დაუყოვნებლივ.ნაკლად ჩაითვლება კარტრიჯის არასრულყოფილად მუშაობა/ბეჭდვა ან რაიმე სახით კარტრიჯის დაზიანება.
დ) სრულად აიღოს პასუხისმგებლობა მომსახურების ხარისხზე და რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობს შემსყიდველს.

7. ხელშეკრულებისშესრულებისკონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებსა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნებასაჯარიმოსანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვისყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.
8.2.საჯარიმო სანქციების გადახდაარათავისუფლებსმიმწოდებელსხელშეკრულებისძირითადივალდებულებებისშესრულებისაგან.
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.4.შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც მიმწოდებელი ვერ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებს ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაოსაკითხებისგადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულებისენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხივად შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს წერილობით - გაეგზავნოს შეტყობინება, სადაც მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1. ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას და მხარეები არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.

16. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№90ა იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25	მისამართი:ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის გამზ. 63
ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო" *სახაზინო კოდი№740807519* *საიდენტიფიკაციო კოდი: 445437705* *ბანკის კოდი:* ***TRESGE22***	შ.პ.ს. „კორვეტი" 597 42 31 13, 27 96 90 საიდენტიპიკაციო კოდი: 445454749 მიმღები ბანკი : ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22** ანგარიშის ნომერი: GE41BG0000000700449100
_____ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შალვა დანელია	_____ დირექტორი ბადრი აბულაძე

ხარჯთაღრიცხვა
(განფასება)

მიმწოდებლის დასახელება: შპს „კორვეტი“

N	კლასიფიკატორის კოდი	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი ლარი
1	Cpv კოდი 50323000 კომპიუტერისპერიფერიულიმოწყობილობისშეკეთებადატექნიკური მომსახურება.	პრინტერების კარტრიჯების დატენვა / შევსება / შეკეთებისტექნიკური მომსახურება	ერთი მომსახურება	30	28,00	840,00
	საერთო ჯამი - 840 ლარი					

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)